№ 203. 30 სექტემბერი, ოთხშაბათი. 1866—1881 30 სექტემბერი, ოთხშაბათი. № 203

რედაქცია

გლეზგინის პროსპექტზეთ. იგ. მუსრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „იგვრიის“ რედაქციაში, ქუთაისში, „დროებაში-იგვრიის“ აგენტთან ი. ჯუღინასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „იგვრია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „იგვრია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

ზამთრის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოთა მოკვრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთ ასოზე შვიდი კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვოს, რედაქცია კანონებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილს. და-უბეჭდელ წერილს რედაქცია ინტერესს ვერ დაუწყებს ბეჭდავს.

განცხადებანი შეიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„იგვრიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ენკენისთვიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ივერია

ცალკე ღირს — ოთხი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გლეზგინის პროსპექტზე თ. იგ. მუსრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჯუღინასთან (სიდზე, მირიან ჯუღინის სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

ტელეგრამები

(„ჩვენთა-შორის რედაქტორის ნაგენტარი“)

პეტერბურლი, 28 ენკენისთ. შაბათს სადამოს სხდომაზედ, შესახებ სამეკიტნოების შემცირებისა, მოდაბარაკებ კიდევ არ გათავებულა. აქაურ ბანკებმა და ბანკირების სახლებმა გარდასწყვიტეს ხელის მოწერა ახალ შინაგან სესხზედ 66 მილიონ მანეთამდის.

ბობედონასცევის მგზავრობის მიზანი ვარშავაში არის სურვილი გაიგოს მდგომარეობა ადრინდელ უნიატებისა და ეხლა მმართლ-მადიდებელ სარწმუნოების მიმდებთა.

ყმაწვილთათვის მზრუნველ საზოგადოების პროექტი იხილება შინაგან საქმეთა, სამინისტროში.

24 ენკენისთვეს გაიხსნა სტუდენტებისათვის საკითხი უნივერსიტეტში.

ქალაქის რჩევის სხდომა

ქალაქის რჩევის გუშინდელს სხდომაზედ სხდომი, გახსნისათანავე ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა შეიტანა წინადადება, რომ ქალაქმა გადადვას ათი ათასი მან., რომლის სარგებლითაც თუ. გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დავეხმაროთო.

ამ საგნის შესახებ ხმოსანმა თ. კ. ა. ბებუთოვმა ჰკითხა ბ. ქალაქის თავს: იყო ის დაპატიჟებული გიმნაზიაში იუბილეის დღესასწაულზედ, თუ არა? ქალაქის თავმა უპასუხა: დაპატიჟებული ვიყავი, მაგრამ, ავათმყოფობის გამო, არ დავსწრებულვარო. ხმოს. ბებუთოვმა წარმოსთქვა, რადგან შარშან, აქტის დროს, გიმნაზიის დირექტორმა ბ. მარკოვმა უმართებულად მოიხსენა ქალაქის თვით-მმართველობა, ვითომც ქალაქმა ქვეყნის თვალის-ასახვევად მესწირა უნივერსიტეტისათვის ასი ათასი მან. და ნამდვილად მიცემას არა ჰფიქრობენო, რადგან ამ უშვერის და ხეპრულის სიტყვით ბ. მარკოვმა შეურაცყოფა მიაყენა ქალაქის თვითმმართველობას, ამის გამო მადლობა გამოუცხადოთ ქალაქის თავს, რომ ის არ დაესწრო გუშინ გიმნაზიის იუბილეიზე და გთხოვთ, ეს ჩემი სიტყვები პროტოკოლში ჩასწეროთო.

ხმოსანის ზუბალოვის წინადადებაზედ სჯა და გადაწყვეტილება შემდეგ სხდომამდინ გადადვეს.

რჩევამ მიიღო პეტერბურღის „უჩოტნი ბანკის“ წინადადება შესახებ ქ. თბილისის ობლიგაციების (სესხის ბილეთების) გასაღებისა. ეს წინადადება მდგომარეობს შემდეგში: ბანკი 700,000 მან. ქალაქის ობლიგაციებს ერთად ჰყიდულობს თითო ას მანეთიან ობლიგაციას 91 მანეთად; წლისა და ნახევრის განმავალობაში ქალაქს არა აქვს უფლება ახალი სესხის ბილეთები გამოსცეს და ამას გარდა ეს პირობა უბრალო ქალაქზე უნდა იყოს შეკრული და არა ნოტარიუსის წესით.

მესამე საყურადღებო საგანი, რომელზედაც გუშინ მოილაპარაკა რჩევამ, იყო ქალაქის აგურხანების მოშლა. რჩევამ გადაწყვიტა: რადგან მცოდნე კაცებმა დაამტკიცესო, რომ აგურხანებისაგან ქალაქს არავითარი ვნება არა აქვს და იმათგან ჰაერი არ ფუჭდებაო, ამის გამო უმაღლესის მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლოთო, რომ ამ აგურხანებს ნუ მოშლის ადმინისტრაცია; მხოლოთ ვალდებულებითი კანონები გამოვსცეთ აგურხანების პატრონებისათვის—თუ რა სისქე აგური უნდა გამოსწვან იმათ, როგორ უნდა ჩამოჭრან ფერაზე მიწა აგურისათვის და სხვ.

ახალი ამბავი.

თბილისის სააზნაურო სკოლის თაობაზედ მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშნვა თ. ნ. დიასამიძისაგან:

„როგორც შეგუბებული წყალი უცებ აუშვას კაცმა და მოვარდეს, ისე მოხდა ჩვენი თბილისის სააზნაურო სკოლის საქმეც: ყმაწვილები, რომელნიც იყვნენ დარჩენილნი, სწავლის დროს გასვლისა ანუ შეუძლებლობისა გამო, დაარსდა თუ არა სკოლა, თხოვნის ქალალდებით მივარდნენ სკოლაში. ამათში ბევრს შეხვდა კენჭი და ბევრი დარჩა დღესაც მიუღებელი და ეკარგება სწავლის დრო. რა არის მიზეზი ამისი? ის რომ ძველი და ახალი თხოვნები დიდი და პატარა ყმაწვილებისა ერთმანეთში აურიეს; რადგანაც ვაკანსია ცოტაა და ყმაწვილები ბევრი გროვდებიან, გვიან ხედებათ კენჭი, რომელთაც ეკარგებათ კენჭი. რა უშავს, რომ 7 და 8 წ. ყმაწვილები უკან ჩამოაყენონ და იმათ უყარონ კენჭი ეკარგებათ სწავლის დრო და თუ ასე არ ივარგებს, გაანაწილონ მაინცა, ორი წილი დიდრონებს არგუნონ და მესამედი პატარებს.

„მეორეთ, სკოლის გადატანამ ძუკიიდამ სოლოლაკზედ დიდი ზარალი მოუტანა ღარიბ დედ-მამას, რადგანაც ძუკიაში და ავლაბარში ბევრი ღარიბი ხალხი ახვევიან იაფათ და ადვილათ შოულობდნენ ბინას სკოლაში მოსიარულე ყმაწვილებისთვინ.

«დროების» ფელეტონი, 30 სექტემბ.

ჯავახეთის ამბები.

წელს კარგი მოსავლიანი ზაფხული იყო. როგორც მრავალგნითგან ემადლიერებიან კარგს ჭინახულსა, ეგრედ ჩვენის მხრითგანაც ყოველნი კმაყოფილნი არიან.

თუმც სხვაგან ჭინახულის კარგ მოსავლიანობის-დაგვარად უჩივიან, არ გაგვიეფდა პური, მაგრამ აქ მეტად გაიეფდა, ერთი თთვის წინ 25 მანეთს იძლევებოდა პურის მომკრები და ახლა 12 მანეთად ძლივ ისყიდება ხომარი პური. იმედია უფრო დაიკლებს ფასსა, ოღონდ დარი დაუდგეს ჯავახეთს, რომ გალეწონ თავიანთ მჯეები.

მხოლოდ ნაკლიბობა იყო შარშანდულებ მეტად ხილისა. ხერთვისის და აწყვრის ხეობების ბაღჩებმა აღარ გამოსცეს ნაყოფი კვლავინდლურებ. ამის მიზეზი გაზაფხულის სითბოზედ დაცემული უვიცი სუსხი-ყინვა იყო, რომელმანც ერთიან აყვავებული ნამყენ-ხილნარი მოსწვა-მოტრუსა. ამ უხილობის ნაკლებობაზედ ლივანა-აჭარა დაგვეხმარა და დაკმაყოფილა ჩვენი მხარე.

ჭინახულ მოსავალში განთქმულია ჩვენი სამესხეთო საზოგადოდ. იშვიათად მოხდება ხოლმე ჭინახულის ნაკლებულება, მაგრამ სწავლა-განათლების უქონელობით, მეტად დაცემულია; აღარ ჰყავს უწინდელი გულშემატკივარი მღვდელნი, არც მღვდელმონაზონები და არცა ბერები, რომ შეეწინიენ წვრილ-შვილის გამოზრდითა სწავლა-ხელოსნობაში.

ადრე 24 მონასტერი ყოფილა მთელ მესხეთში სავსე მღვდელ-მონაზონებით, მონაზონებითა და მოლოზნებითა; მონაზონები ზრდიდნენ ყმაწვილთა სასწავლებლებში და მოლოზნები ქალწულ ასულთა ასწავლიდნენ კითხვა-წერვას და საოჯახო ხელსაქმართა. ამ მონასტერში იზრდებოდნენ ათაბეგის წული და ასულნი, დიდებულის შვილები, თავადაზნაურთ, მოქალაქეთა, გლეხ-კაცთა და ხელოსანთა; გამოდიოდნენ ჩინებული მხედართ-მთავარნი, სამოქალაქო მღვდელნი, მოქალაქენი, ხელოვანი ხელოსანები და მიწის შემმუშავებელნი..

მათის მეცნიერებით აშენებულია ციხე-გოდოლნი, მონასტერ-ეკლესიანი, დარბაზები, გაყვანილან მრავალ გასაოცარი ხევ-ღელეებში რუ-სხმულები, გაშენებულა ხევან-ვენახები, აბრეშენებულან წისქვილები, დაფუძნებულან საზეთეები და მისთანა საქვეყნოდ წარმამატებელი შენობანი, რომელთ ნაშთთა ჯერაც გაკვირვებაში მოჰყავს შინაური თუ გარეული მოგზაურნი. ეს არის დღეს, როცა ათში ერთი ძლივ დაშთენილა შეუმუსრავად და მთელი ჩვენ წინა-პართ ძეგლ-წერილნი, რომ მრთლივად დაშთენილიყვნენ, მაშინ რალას ვიტყოდით!?

ახლა 24 მონასტერში ერთიღა მონასტერი გვაქვს, რომელსაც ვითამ თვალი ეკიდება, რალაცა მოძრაობაშია და ეს გახლავსთ ფარძიის დიდებულად განთქმული მონასტერი, სადაც განუწესებიათ ვიღაც ბერძნის ბერი: ეტყობა თვალ-ღია ვინმე უნდა იყოს, სოფლებში ბლომად ჰკრეფს ჭინახულსა დაურჩენელ თავის დასარჩენელად. ღმერთმა ჰქნას, რომ ამან მაინც აზრში ჩაიდვას სასწავლებლის გახსნა ფარძიის მონასტერში და შეჰკრიბოს

„მე თვითონ შემომჩიენლეს ზოგიერთ დედ-მამებმა, ეს მესამეთ მივდევთო და ჯერ კიდევ ვერ დაუსწავლიათ გზაო. აბა თქვენ თითონ იფიქრეთ, ქუკიდამ და ავლაბრიდამ სად შეუძლიანთ ბავშვებს სოლოლაკზედ სიარული? დილით ადრე გამოვიდეს და სადილათ შინ გავიდეს ყოველ დღეს, ეს სულ სიარულს მოუნდება, რაღა უნდა ისწავლოს, ან ვინ იცის გზაში რას დაინახავს, რა მოუვა უპატრონოთ ყმაწვილებს?

„მესამე ესა, რომ თბილისის გუბერნიაში იპოებიან საწყალი კეთილშობილთაგანი, რომელნიც რჩებიან ობლათ, ასე რომ იმათ ბედზედ აღარა დარჩენიათ-რა: არც მამული, არც დედ-მამა და თუ იშოვნიან ვისმეს კომიტეტამდინ მიმყვანს, უნდა კომიტეტმაც ღონის-ძიება აღმოუჩინოს: თუ კენჭი არ შეხვდეს და დრო გადიოდეს სწავლისა, უკენჭოთაც მიიღოს, რადგანაც სწავლა მის მაცხოვრებელ წყაროდ უნდა იქმნეს.

* * *

გაევლილ შაბათს ქართულმა ტრუპამ საზაფხულო თეატრში წარმოადგინა ბატ. სუნდუკიანცის კომედია, „პეპო“. ეს პიესა არა-ერთხელ უთამაშნიათ ჩვენ სცენაზედ და თითქმის მუდამ იმ აქტიორების მონაწილეობით, რომელნიც შაბათს თამაშობდნენ. ამიტომაც პიესაც საკმაოდ არის გარჩეული და მოთამაშეებიც. მხოლოდ ამ შაბათს ამ პიესაში იყვნენ უცხო ა. ცაგარელი (პეპო), ქ. ანდრონიკოვისა (ქეკე) და ნ. ჯორჯაძე (ქაკული). ა. ცაგარელმა ჩინებულად შეასრულა პეპოს როლი. ბევრი, მართლა რომ, კარგი ალაგები ჰქონდა. ქაკულის და ქეკის როლები კი სუსტათ იყვნენ შესრულებული.

საზოგადოება ერთობ ნაკლებ იყო. მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო ეს, რადგან ჩვენი საზოგადოება დიდიდამ პატარამდე ყველა იცნობს „პეპოს“ და ათასჯერ უნახავს სცენაზედ.

„დროების“ კორესპონდენცია

—

საჩხერე, 22 სექტემბ. (დასასრული). ბლეხებს კანონით ნება აქვთ, დაადგინონ განჩინება გადაასახლონ უშორეს გუბერნიაში მავნებელი და ცუდი ყოფა-ქცევის გლეხი. ეს საშუალება ბევრგან სინჯეს, მაგრამ სრულიად არაფერი ეშველაო-რა, რადგანაც ქურდების რიცხვი უმფო ტყუილათ მყოფელ, უმუშევარ, ხალხში, ბევრი არის და მრავლდება და ამ უკანასკნელებზე, რომელნიც ქურდების და სხვა ბიწიერების ბურჯებათ, სათავეთ, შექმნილან და არიან, ამისთანა განჩინების შედგენის ნებას კანონი არ აძლევს მცხოვრებელს. ან რომ ჰქონდესთ ნება, მათზე რისიმე თქმის, განა გაბედავს ვინმე? ვინც მათზე ცუდს იტყის. მას ბარგი აკრული უნდა ჰქონდეს, მიწაში თუ ჩაძვრება, თორემ დედამიწაზე ცოცხალი ველარ გადარჩება. მე-გეტყვი, არ დაუმტკიცოს ვინმემ მათ კაცის სიკვდილი, ან სხვა რამ ცუდი საქმე. ისინი, თავისი მოწმებით, გნებავთ, დაამტკიცებენ, რომ იმ თვეში, ან წელში, როდესაც რამე შეთხვევა მოახდინეს, იყვნენ მთვარეზე, ან სხვა რომელიმე პლანეტაზე და არა დედა-მიწაზე.

ამისთანა გავლენიანი და ბოროტი პირები რომ არ იყვნენ, მაშინ გავარდნილ ყაჩაღებსაც ფეხები მოეკვეცებოდათ; მაგრამ ესენი აცოცხლებენ, ამრავლებენ და აღორძინებენ მათ. აი ერთი მაგალითიც:

ერთმა პირმა ერთს მღვდელს, რომელთანაც ცოტა უკმაყოფილება შეუდგა, მიატოვებინა თავისი ეკკლესია და მრევლიც; საწყალი მღვდელი მისი შიშით სხვა სოფელში გარდაიმალა და ეკკლესია და მრევლი კი უმღვდლოთ არის დარჩენილი. მღვდელს, რაც გაჩნდა არა შეარჩინეს-რა: სახლს ცეცხლი მოუკიდეს, ცხენი, ჯორი დაუკლეს; ამაებს აღარც ის დაეძებს, ოღონდ თვითონ გადურჩეს ცოცხალი; მაგრამ ესეც სათუოთ აქვს.

ეკვება სთქვას ვინმემ: რათ არა სჩივისო? ეველა ეს უბედურებაც მიტომ გაუდიდა, რომ ჩივილი გაუბედა. ან რა გამოუვიდა მერე ამისაგან—რომელი მოწამე გაბედავდა მისი მოწინააღმდეგის გასამტყუნარი ეთქვა რამე?! ამისთანა რამე რომ წვრილ-კაცს, გლეხს, შეთქმოდა, მოგეცათ ღვთის წყალობა, იმას მალე ხელებს წაუკრავდნენ და გაუკითხავათ აკერევინებდნენ თავს ვირის აბანოში...

აი, სამართალი აქ ამისთანა კაცზე გაიმარჯვებს ხოლმე. ამას წინეთ ერთ საწყალი მუშა გლეხს თავისი ცხენის ნასყიდობის მოწმობა ვერ წარედგინა ხევის-თავებისათვის; თქვენ უნდა გენახათ, როგორი შებაწრული წარმოუდგინეს საჩხერის პრისტავს და ამან როგორი სასტიკ ყარაულებ ქვეშ წარუდგინა თავის უმფროსს. ეს რომ დიდაძე ვინმე ყოფილიყოს, სალამსაც ვერ გაუბედავდნენ.

ახლა აქ მთელი ადმინისტრაციის ძალა და ყურადღება არის მიქცეული ერთ საქმეზედ:

ერთი ქალი თავის უსინიდისო ქმარს, რომელსაც რამდენჯერმე გაუყიდია და რომელზედაც ქალს საჩივარიც ჰქონია დაწყებული ოლქის სასამართლოში, გაქცევია, სხვათასთან დგას და ქმარს აღარ ეკარება. ამაზე ქრმის საჩივარის გამო შეიქმნა ადმინისტრაციული მიწერ-მოწერა და ერთი ამბავი. არავითარი პასუხი ქალის არ შეიწყნარეს. ბოლოს მოვიდა ბრძანება, უთუოთ ჩაებარებინათ ის ქმრისათვის და ქ.—ში გაეგზავნათ. ქალი უარზე დადგა. რა ქმნას პრისტავმა? ბადაწყვიტა იხმაროს თავისი პირველი და უკანასკნელი ღონე: ძალათ ჩააბაროს ქმარს და ძალათ გაგზავნოს. ბამორეკეს სოფლებიდამ ყარაულები და შამოარტყეს სახლს, რომელშიაც იდგა ქალი, რომ მეორე დილამდის, როდესაც უნდა გაეგზავნათ, არსად გაპარულიყო; მაგრამ წარმოიდგინეთ, ჩვენი ადმინისტრატორის განცვიფრება, როდესაც მეორე დღეს, შეაღო კარები „იმენემ ზაკონა“, ქალი სახლში აღარ აღმოჩნდა. ასუკან შეიქმნა ერთი ძებნა, ძიება და— უბედურება. მთელი თავისი რაიონი ფეხზე ჰყავს დაყენებული. მაზრის უფროსისაგან, გუბერნატორისაგან ფიცხელი ბრძანებები მოსდის მონახვისათვის და ვერას გამხდარა.

ს.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. რუსეთისა და ბერმანიის იმპერატორთა შეხვედრამ დანციგში და ბერმანიასა ავსტრიას და რუსეთს შუა მოლაპარაკების ხმებმა შესახებ პოლიტიკურ დამნაშავეთა თავის შეფარვაზედ გამოიწვიეს ბევრი მოსაზრებანი საფრანგეთის გაზეთებ მორის.

„გაზ. ფრანს“ იმ აზრისაა, რომ ყველა ხელმწიფის მკვლელთ ხვედრ სასჯელს სდებდნენ აქამდის, მაგრამ პოლიტიკურ დამნაშავეთ გაცემას მანამ სთვლის შეუძლებელად, სანამ ყველა ევროპის სახელმიფოშებში ერთ გვარი წესები და ჩვეულებები არ შემოიღება.

„ჟურნალ დე-ბებ“ ამბობს, რომ რუსების საზოგადოებრივ უფლებასა და ამგვარივე უფლების საფრანგეთისა და ინგლისისა შუა ერთობ აშკარა განსხვავება არისო და ეს ორი უკანასკნელი (საფრანგეთი და ინგლისი) არ ისურვებენ რომ ამ საგანზედ რამე მოლაპარაკება გამართონ რუსეთთანაო.

ბაზ. „ვერიტე“ აფრთხილებს მართებლობას, რომ ამგვარი მოლაპარაკებით ის შეარყევს ხალხოსნურ სახელის ღირსებას.

„ინტრანზიჟანი“ იმედობს, რომ ცდა ამგვარი მოლაპარაკებისათვის რუსეთის მხრით ღირსეულ პასუხს მიიღებს საფრანგეთისაგანაო.

—

ავსტია-ვენგრია. „რეიტერის სააგენტოს“ სწერენ ვენადამ, რომ 16

იმ გლეხთ შვილები, რომელნიც მახლობლობით შიშიანობისა უდარაჯებენ და ემსახურებიან ამ მონასტერსა, როგორც მოგველნი, აფნიელები, ბოგაშნელები და ძილდელები. მაგრამ არა მგონია; ესეც თავის წინაპართ იმ ბერძნებს ბერთ გზა-კვალს უნდა მისდევდეს, რომელთაც ჩვენის ქვეყნისთვის სარგებლობისაგან ენება უფრო მრავალი მოუტანიათ. თუ დიდის ხნის დროული არა ვარ და ბევრი არა ვიცი-რა, იმერეთის ბარძიის ბერძნის ბერები ბევრჯერ მინახია ჩემს ყმაწვილობაში და მათი ცარცვა-გლეჯა გამიცდია. მათი მდიდრული ცხოვრება, ფართა-ფურთი, ჩხუბი და გარდაკიდება ერ-მღვდლებზედა!

ეს და ამისთანები საშინელ მშთანთქველ გველ-ვეშაპად რომ დაუვიწყებლად თვალ-წინ გვაქვს, უნდა რომ ახლა მაინც გაეფრთხილდეთ, აღარ ვიყოთ უქმად უმუშაებლად ხელ-ფერხ-გონიბისა, არღარ ვსცარცვიდეთ საწყალ ერსა, ტაცვა-მგლეჯაობითგან ხელი ავიღოთ... ერთისთვის ვეცადოთ, რომ ათეული გარდაუხადოთ, საზოგადოების სასარგებლო საქმეების ხელის მოკიდვითა; მიეხედოთ არა საბერძნეთის ზანტ საპყარ ბერ-მონაზონთ დიდ-ძალ სიმრავლესა, რომელნიც უცხო ქვეყნების დიდ-ძალ მოსავალის ჭამა, სმა-ქეიფსა გაურყვნია და კაცობრიობის გარედ გამოუყვანია... არამედ ევროპის მონასტერ-ლავრებსა მივებაძოთ, სადაც დაფუძვნილ არიან უნივერსიტეტები, სემინარიები, სახელოსნოები, ტიპოგრაფები, ფოთოგრაფები და მასთან გლახ-ლატაკ ერობის დამწინაურებელი საშუალება ხელ-საბძლვანნი!

ამაებით აღმოჩნდებიან ჩვენს მონასტრებში განდეგილი ბერ-მონაზონები ღირს ბერ-მონაზონებად, სამშობლო მამულის გულ-შემატკივარ შვილად და ღმერთის მოშიშ მსახურად. შამისოთ კი ყოველი მათი მოქმედება მოჩვენებული, ფარისეველული იქმნება, საზოგადოების დამღუპ-დამქცევი და თავიანთ სულის წარმაწყმედელი, იცოდნენ კარგად: ტყის ქურდი, ზღვის მეკობრე, მთის ავაზაკ მტაცავ-მგლეჯავი, უფრო ადვილად ცხონდებიან შენანებითა ვიდრემ ისინი!

ამ გავლილს მარიამობისთვეში ცოტა სიცხეები მომატებული დაიჭირა ჩვენსკენ, მისგამო რუსთავის იქით მდებარე მაღალ კლდეებიდგან გველ-ვეშაპი გადმოსულიყო, ვინ იცის, სანადიროდ თუ წყლისთვის და შარაგზაში გაშვანტულიყო პაპანაქ სიცხეში. პოლ-ფოშტიდგან მომივალი ფოშტის მატარებელი ყმაწვილი კაცი უეცრად მოადგება ამ გველ-ვეშაპს, რა დაინახავს გამოჭენებულ ცხენებსა ეს მხეცი, აიღებს საოცარ პირ-აშკმულ თავსა და თავ-დაღმა მტკვრისკენ დაევლება. ამით დაფთხებიან ცხენები, შეკრთება ყმაწვილი კაცი და უკანვე ბრუნვას დაიწყობს; მაგრამ გზას რომ დაუგდებს ის გველ-ვეშაპი, ამით გამხნევდება და გამოიკლის იმ კლდეებს ის ფოშტის მატარებელი ყმაწვილი კაცი, მერმე მოიხედავს უკან და დაინახავს, რომ შეეხვევა ის გველ-ვეშაპი იმ მაღალ კლდეს და ავა თავის საბუნაგოსა.

ამბობენ, სამი საჟენის სიგრძე იქნებოდაო, მაგრამ იმ ყმაწვილ კაცს კი რვა საჟენზედ უგრძესადაც სჩვენებია, უეჭველად შიშისაგან!

ძიდევაც რომ იყოს ესრედ საოცარის სიდიდისა, გასაკვირველი არ არის, ამიტომ რომ უკან რუსთავის მხრითგან მიუდგომელი ყოფილა ეს კლდეები, აქეთ შარა-გზითგან ხომ სრულ არ შეიძლება მიდგომა, რამდენიმე ასი საჟენის სიმაღლეზედ ამართულია.

ამბობენ, ახალ-ციხის მაზრის უფროსი ბ. ნიკ. ალექსეევ-მესხიევი აპი-

ენკენისთვეს, სალამოთი, ქ. ბრანიცაში ჩამოვიდნენ სპეციალურ მატარებელით რამდენიმე მაღალი წოდების რუსის მოსამსახურე პირები, შეკრიბეს რამდენიმე ცნობები და ისევ დაბრუნდნენო. მომავალი ნახვა ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორთ შორის დიდს საიდუმლოებაშიდაა.

—

შვეიცარია. ინგლისურ გაზეთს „ტაიმს“-ში იწერებიან ჟენევიდამ 17 ენკენისთვეს: „ამ ცოტა ხანში პეტერბურღელი კორრესპონდენტი ნეშეცურ გაზ. „ალგემაინე ციტუნგ“-ისა იწერება რუსეთიდამ, რომ ამ საჩელმწიფოს სატახტო ქალაქში შემდგარა საიდუმლო საზოგადოება, ნიგილისტებთან საბრძოლველად ამათივე საკუთარი იარაღით. ესვე ხმები დარწმუნებით იხსენება ამ ქამად აქაც, აქაურ კონსტიტუციონურ მიმართულებიან გაზეთში, რომელიც აქ დააარსეს რუსებმა. ეს საიდუმლო საზოგადოება შედგება 300 პირისაგან და დაყოფილია დასებათ და თითო დასში 5 კაცია. საზოგადოება ექვემდებარება ცენტრალურ კამიტეტს. თავისი ჯაშუშები ჟენევაშიაც ჰყავს ამ საზოგადოებას.

თეატრის შესახებ

(პასუხი ბ. „ქართული სცენის მოყვარეს“)

როგორც ეტყობა, ბატ. ქართულ სცენის მოყვარეს ძალიანა სწყენია ჩემი სტატია და ჩემგან ხმარებული სიტყვები: „ხტუნაობა“, „როშვა“, და „ტიტინი“, თუმცა კი გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვები პასუხის ღირსნიც კი არ არიან. თუ გულ-ჩამთუთქველი მოქმედება არა ჰქონოდა მაგ სიტყვებს, ის აღარც მოიყვანდა იმათ თავის პასუხში, და არც შეიძლება, რომ სიმართლემ კაცს გული არ დასწვას.

ერთხელ კიდევ მივიღებ ჩემ თავზედ შრომას და დავანახვებ—რა შეცდომეებში შედის ჩვენი ვითომც სცენის შესწავლილი ბატ. „ქართული სცენის მოყვარე“.

ესა ბძანებს: როლების სწავლა რეპეტიციებზედ არ არის დამოკიდებული. ესე იგი თქვენ გინდოდათ გეთქვათ როლების გაზეპირება?... მე სიტყვაც არ გამიწყალებია როლების გაზეპირებაზედ, ცილს რათა მწამებთ?

„სადაც თეატრი კარგათ არის დადგენილი, იქ ყველა არტისტებს თავიანთი როლები პირველს რეპეტიციაზედ გაზეპირებული აქვსთ“.

დიახ, ეგ შესაძლებელი გახლავსთ, სადაც კარგათ არის დაყენებული თეატრის საქმე, ესე იგი სადაც საკმაო საშუალება აქვსთ და არტისტებს იმოდენა ჯამაგირი ეძლევათ, რომ ლუკმის საშოვნელათ სხვა მუშაობის მიმართვა აღარ სჭირდებათ. ეგ შეიძლება იქა ხდებოდეს, სადაც თეატრის რიგის მიმცემი, რეჟისორი მოაზრებული, მაგ საქმისათვის შემზადებული კაცი ჰყავსთ, რომელსაც რამდენიმე თვის წარმოდგენები წინათვე დანიშნული აქვს, როლები დამზადებული და გადაცემული აქტიორებს.

ჩვენში? ჩვენში კი რა ხდება: ბევრჯელ როლები წარმოდგენის წინადღით ურიგდება აქტიორებს, ბევრჯელ დანიშნული პიესა წარმოდგენის დღეს, უკანასკნელს რეპეტიციაზედ შეიცვლება მეორე პიესით, რადგანაც მომზადებულ პიესის უხეირობა აღმოჩნდება და სხვა.

ახლა თქვენა გკითხავთ: აქ ვინ არის დამნაშავე აქტიორ-აქტრისები, თუ ის პირები რომელნიც თეატრის საქმის წაყვანას კისრულობენ და თითონ საქმე კი არ ესმისთ? ბატ. ქართული სცენის მოყვარე! ზოგი რომ ღვთისკენა ბძანოთ, ზოგიც ეშმაკისკენა სთქვით და... თუ არა და რასა ჰგავს? აქაო და რაღაცა სთქვით, გინდათ უეჭველად თქვენი გაიყვანოთ.

ჩემს მოპასუხეს ჩემი წერილიდგან ამოუგლეჯია ის ადგილი, სადაც მე ვამბობ:

....„რასაკვირველია შეუძლიან გვითხრან, მოუმზადებელი რათ გამოდიანო.“

და ამ კითხვაზედ რასაც პასუხს იძლევე, იმისათვის კ თავი დაუნებებია და აქედგან გამოჰყავს, რომ ვითომც ამით მე ვეთანხმები იმის სტატიას. რასაკვირველია, ისიც ამბობს, რომ აქტიორები მოუმზადებელი გამოდიანო და მეც. მხოლოთ ჩვენს თქმაში განსხვავება იპოვება და ეგ განსხვავება გახლავს შემდეგში.

ის პირდაპირ ამბობს თავის სტატიაში: „აქტიორები მოუმზადებელი გამოდიანო“ და ამაში ბრალდებულს მარტო აქტიორებსა ხედავს.

მე-კი ვამბობ, რომ, მართალია, ხანდისხან ჩვენი აქტიორები მოუმზადებლები გამოდიან და იმის მიზეზებათ მომყავს წარმოდგენების რიგის მიმცემების უხეიროობა, პიესების უვარგისობა, რომელსაც აქტიორი გულით ვერ მოეკიდება და კიდევ სხვა მიზეზები, რომლებიც აქტიორზედ არ არის დამოკიდებული.

აქედგან გამოდის, რომ ჩვენ, მართალია, ერთსა და იმავე სიტყვებსა ვხმაროობთ, მხოლოთ იმის მიზეზები სხვა-და-სხვა მოგვყავს და ეს სულაც არ არის ერთი, როგორც ბ. ქართული სცენის მოყვარეს ჰგონებია.

მერე მოჰყავს ის ადგილი, სადაც მე ვამბობ, რომ სამი თვის განმავლობაში 8,025 მანეთი შემოვიდა და მაგასთან ექვსი კვირა გლოვა იყომეთქი. ამითი ვამტკიცებდი, რომ ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით ეკიდება თეატრის საქმეს.

ჩემი მოწინააღმდეგე ამტკიცებს, რომ ეგ ვითომც სრულებით დასამტკიცებელი საბუთი არ იყოს და ამისათვის გამოჰყავს შემდეგი ანგარიში: ქუთაისში იყო აღებულიო 1,400 მან. და 4 ბენეფისიდგან 2,000 მან.

და ამას უმატებს, რომ ვერც ქუთაისის შემოსავალი დაამტკიცებს თბილისის საზოგადოების თანაგრძნობას და ვერც ბენეფისები.

ბოდიშს მოვიხდი ბ. ქართული სცენის მოყვარეს წინაშე, მაგრამ თვალები უნდა ავუხილო და დავანახო, რომ მე სიტყვა თბილისის საზოგადოება არ მიხმარია და ვამბობ ქართველ საზოგადოებაზედ და რადგანაც ქართველ საზოგადოებაში შედის იმერეთიც, ქახეთიც, ქართლიც, ამისათვის ქუთაისიც საქართველოს ნაწილათ მიმაჩნია და ის თანაგრძნობა, რომელიც ქუთაისს გამოუცხადებია ჩვენი თეატრისადმი, ქართველი ხალხის თანაგრძნობათ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ბენეფისებზედ ბილეთების გაგზავნას, ჩემი მეტათ გაბრტყელებულის სახელით, მოწინააღმდეგე ამტკიცებს, რომ თანაგრძნობათ ვერ ჩაითვლებაო.

ეგეც სიცრუე.. სიცრუეა ამისთვის რომ მარტო ბილეთების დარიგება არა კმარა, რომ საზოგადოება უეჭველად მოვიდეს. იმათ ძალიან კარგათ იციან ბილეთების დაბრუნება უკან, რომლის მაგალითებიც თვალ-წინ გვიძევს და ბილეთების დარიგებამ წარსულს წელიწადს ვერ გაავსო ზოგიერთების ბენეფისზედ თეატრი, არამც თუ ვერ გაავსო, არამედ ზოგიერთებს თავისი ფულის დადებაც-კი მოუნდათ. ბენეფისზედ იგზავნებოდა პირველი რიგი კრესლოები და თერთმეტი ლოჟა, რომელიც სულ ერთად ძლივს შეადგენს 140 მანეთს და მარტო მაგ ბილეთების გაგზავნა ვერ გაავსებს თეატრს და ვერ შეაყენებს სრულს შემოსავალს 652 ნან. მაგასთან ეს ბილეთები ეგზავნებათ საზოგადოთ ისეთს პირებს, ვინც თითონაც მოვიდოდნენ, რადგანაც ეს ადგილები მთელს სეზონისთვის გაყიდულები იყო. ესთქვათ კიდეც, რომ ეს ხალხი ნება-უნებურათ იყო მოწვეული, სხვა ხალხს ვიღა სცემდა კისერში, თუ არ ის თანაგრძნობა,

---

რებს ამ გველ-ვეშაპზე გამონადირებასაო. უთუოდ კარგი იქმნებოდა და სასარგებლო.

მაგრამ განა ახლანდელ გულ-დაყვავებულ უფროსებს ამისთანა გარეშე მხეც-ნადირების მოსასპობლად მოსცალდებათ, როდესაც შინაგანი გველ-ვეშაპნი დღე-ღამ უწყვეტენ მოსვენება-სიამოვნებას? საქმე-მმართველშიც ხელ-ფეხთ უშლიან და ჭკუა-ცნებას უფანტვენ, მეტად თუ რიგიანი თანაშემწეები, პრისტავები და ჩინოვნიკები არა ჰყავს. რა საქმეს გაარიგებს და ან რას გასწვდება ამდენ სიმრავლესა? ერთი-ორი თუ მადრიელი ჰყავს, ხუთი და ათი სხვა ეშდურება! მართლად იშვიათი საქმეა, როცა კაცი, რომელსამე სამსახურშია, მადრიელი სრულ ცოტა უჩნდება და მომდურავი კი ათასი; როდესაც ის გამოდის სამსახურითგან და სხვა მოდის მის ადგილას, ადარებს საზოგადოება ერთი-მეორის საქმე მმართვას და რა სინჯავს დაკვირვებით, მაშინ ხედავს თავის შეცდომილებას და პირუთნებლად აღიარებს, რომ ადრინდელი სჯობდა ბევრით ახლანდელსაო! მაგრამ რა: ეს აღიარება სწორედ ძველებურ ანდაზასა ჰგავს: „ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარს მიკრემდნენ კუბოსაო!“

წელიწადზედ მეტია, რაც ჩვენმა „დროებამ“ გვაცნობა წინადვე არხეოლოგიური კრება. ამასაც მოვესწარით 8 ამ თთვისა. ამისი ნაყოფი და გემო უთუოდ დაიმშვენეს პატიცემულ დამსწრე პირთა და მათის წყალობით ქ. თბილისში მოძრავ ცოცხალთაცა და ზოგიერთ მკვდართაცა ისარგებლეს. მაგრამ ჩვენისთანა დაშორებულთა ცოცხალთათვისაც უსარგებლოა და მკვდართათვისაც ხომ უფრო უნაყოფო, თუ რომ „დროება“ არ გაგვაგებინებს, რომ ჩვენც მოგვეფინოს რამე მზის სხივი შორითგან დიდის სურვილით მაყურალთა!

უკეთესი ნაყოფი და სარგებლობა ამ არხეოლოგოსთა კრებისა ეს იქმნება, რომ დაფუძნდება ჩვენში მტკიცედ არხეოლოგიური წრე, შეეძლება ყოველგან თავისუფლად წარმოება თავის საქმისა, ექმნება მიუცილებლად შემწეობა ყოველის მხრით მთავრობისაგან და ადგილობრივის ადმინისტრაციითგან, რომ დაიცვებოდნენ ციხე-ნანგრევნი, ეკკლესიები, მონასტრები, ზღაპრული კლდე-ბალავარნი, მოითხრებოდნენ ნაადგილევნი საკერპოთა, ზღაპრულ ადგილთა და მიკვლეულ სიძველეთა, რომელნიც სჩნდებიან სოფლების არე-მარეთა და კერძო პირებთან სახლებში.

მე შევხვდი ს. ქორხს ერთ სახლში მალაზიას და შიდ ჩაკირულს ქვევრებს. ესთხოვე სახლის პატრონს მენახა ის ქვევრები და მათში შენახული ნივთეულება; მაგრამ ნება არ მომცა. ვიკითხე მცოდნე პირებისაგან, ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარება შეიძლება-მეთქი და უარი მითხრა: —ვის რა ენაღვლება შენი არხეოლოგიური შემწეობისაო.

ამ ნაირი რიგ-კანონით რა გაგვირიგდება? ჩემს მამა-პაპის ძველისძველ საკუთრებაზედ აზრუმითგან გადმოვარდნილი სათოკე კროები უფლობდნენ და მე გულ-ხელ დაკრებილი თვალ-პირში შევსცქეროდე, რა სიმართლე არის?

ბარდა ამისა, არა თუ ყოფილნი ნაშთნი შენობანი მარტო უნდა დაეიცვათ თავის მინგრეულ-მონგრეულ მდებარეობაში, არამედ შეკეთება და განახლებაც უნდა შეგვეძლოს შესანიშნ შენობა-ციხე-გოდოლთა და ეკკლესია-მონასტერთა. თვარემ უსარგებლო და უნაყოფო იქმნება შედგენილი წრის დანიშნულება..

ვინმე მესხი.

ს. ხიზაბავრა, 23 ენკენისთვეს.

რომელზედაც მე ელაპარაკობ ჩემს წინა სტატიაში?

დიახ, ეს ყველა ამტკიცებს საზოგადოების თანაგრძნობას და მხოლოთ გაუმაძღარი, უმადური თვალი ვერ დანახავს იმას.

იყო იშვიათი მაგალითი, როდესაც ღირსეული აქტიორი ვერ დაასაჩუქრა საზოგადოებამ, მაგრამ ამაშიაც საზოგადოება არ არის დამნაშავე, არამედ ის ხალხი, რომლებიც თავის დამცირებული სურვილების მისახწევათ უგონებდნენ ამ პირებს ათას ცილის-წამებას და გულს უცრუებდნენ საზოგადოებას იმაზედ. ეს ისეთი დამცირებული მოქმედებაა, რომელზედაც მე აქ მეტათ გამოაშკარავება არ მინდა, მხოლოთ იმას-კი ვიტყვი, რომ საზოგადოება სიფთხილით უნდა მოექცეს ამ ხალხის სიტყვებს, რომლებიც რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენ.

ახლა-კი ვათავებ, რადგანაც ისეც გაგრძელდა ჩემი პასუხი; მეტის პასუხის ღირსად არა ვხედავ ბ. ქართული სცენის მოყვარეს. და რაც თითონ თეატრის მდგომარეობას შეეხება, იმაზედ დაპირებისამებრ, შემდეგში მოვილაპარაკებთ.

ს. მოჩხუბარიძე.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დიღის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალვეიხი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიხი—სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიხი — სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ჭელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

ნერსესის სოლხის სასულიერო სემინარიის პოკეჩიტლებმა. კრებაში ამ მამავალ ოკტომბრის 7-სა და 14-სა იქნება **ტოლგი** (უფერეტორშკოთ), იჯარით მისაცემათ სემინარიის მამულისა ქვეშო-აღწერილ რიგზედ. ამთვის 7-სა ნერსესის ძველი სემინარიის ქვეშო ეტაჟის 32 დუქანი და ახალი სემინარიის ქვეშო ეტაჟის 7 ოთახი ოქტომბრის 17-სა ძველი სემინარიის ბირდა-ბირ ნამოფი 21 დუქანი, მოჭდეულ სამჭედლოებით.

ტორგი იქნება ზემოხსენებულს დღეებში 7 საათზედ შუადღის შემდეგ, განსაკუთრებით ოთველ მამულისთვის.

ბირობის ქაღალდის წაკითხვა შეიძლება პოპეჩიტლების კანცელიარიაში, ოთველ დღეს, გარდა კვირის და უქმ დღეებისა, დიღის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შუადღისა. (3—1)

ა. შარიბეგოვის

მაღაზიაშიდ

გალავინის ბროსშექტზე. ახლად მიღებულია საუკეთესო სამზღვარ-გაზეთის ფაბრიკებისაგან უკანასკნელი ფასონის: მზა ზედა ტანთ საცმელები ქალებისა და ყმაწვილებისა საშემოდგომო და საზამთრო მაგალითათ, ქალებისა **წამოსასხამი**, ვატერპრუფები, **პალტოები**, დოლმანები, როტონდოები, ქაკეტკები, ორთავ სქესის ყმაწვილებისათვის პალტოები ძალებისა და ყმაწვილებისათვის მაუდის საცმელები, პენიუარები და იუბკები აგრეთვე მიღებულია მრავალი საუკეთესო ჩულქები ყოველ გვარისა, ვარშავისა და სამზღვარ გარეთის ფეხსაცმელები ყოველი გვარისა, აგრეთვე გალანტერის საქონლები.

მსურს რო გავაცნო ჩემი მაღაზიის საუკეთესო საქონლები და სიაფე, თფილისელ საზოგადოებას, იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება თავის წვევას არ მომიშლის.

ყველა ზემოხსენებულ საქონლები ერთობ რიგიან ფასათ ისყიდება.

ა. შარიბეგოვი.

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** **ბარუსინა** 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—23)

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალღერეიაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—45)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაყვანი მაკასარი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ეროი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. **სჩოტკები** თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—55)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა აღაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, თოდნოსები, ბირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბლაშჩები, ვანები, ქამრები, საუელურები, კლიონკა, უნაგირები, დაგმები, უთოები, ტასტები, ბირისახოტი, ცხვირის-სახოტი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფიდდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—16)

ფეფა ისყიდება იაფათ, კუკიის ხიდ ს ეურზედ, ნაბეერეკნის ქუჩაში. აბრამ. (5—4)

ჩაის მცოდნე ბირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, ბირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტევიოთ. (100—41)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ ბირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრაგატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოტისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბნიკინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეკერის და კაპშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭავნს გაირბები. (100—28)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი **იოანნისიანთან** (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების** გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

ტაქცია

საგვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 16 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
მესამის „	—1 გირ.	3½

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4½

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 ვირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5½
მესამის „ „	—1 გირ.	5 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 ვირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი